განკარგულება:**გ-31.31221793**
თარიღი:**28/06/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №42

2022 წლის 28 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^1-ე მუხლის 1–ლი და მე–2 ნაწილებისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2022 წლის 13 ივლისამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 0494 22-30-09).